ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3539803

ნომერი: AR1536032

თარიღი : 29.08.2017

გაცემის თარიღი : 14.09.2017

გაცნობის თარიღი : 14.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N49 ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 29 აგვისტოსს #AR1536032 განცხადებით მომართეს თამაზი მურვანიძემ, შპს „ელეგანსი“-ს დირექტორმა გელა გელდიაშვილმა და შპს „ბორჯღალის“ დირექტორმა ზურაბ შენგელიამ, რომლებმაც მოითხოვეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 6 დეკემბერს ქ.თბილისში, მიქელაძის ქ. #1-ში (საკადასტრო კოდი: 1/13/3/10/22 და 1/13/3/10/48, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 1550 კვ.მ.) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საზ. კვების ობიექტის

აშენების მიზნით დამტკიცდა #გ-1/223 ქალაქმშენებლობითი პირობები.
სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის №1561709 გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში, საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: - სავაჭრო პავილიონი, საგამოფენო დარბაზები, ადმინისტრაციული შენობა და საწყობები. ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტაციის #882014287390, მომზადების თარიღი: 11.06.2014 წ., საკადასტრო კოდი: 01.13.03.010.022, მიწის ნაკვეთის ფართობი: 760 კვ.მ.).
ამჟამად, განმცხადებლები ითხოვენ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში მომიჯნავე 01.13.03.010.100 (1674 კვ.მ.) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დამატებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 24 ოქტომბრის N1403 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე. კერძოდ, განახლებული საკადასტრო მონაცემების (საკადასტრო კოდი: NN01.13.03.010.022, 01.13.03.010.100) დაფიქსირების საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა 2017 წლის 31 აგვისტოს N35 საბჭოს სხდომაზე და გაიცა დადებითი რეკომენდაცია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმები: საკადასტრო კოდი N01.13.03.010.022, რეგისტრაციის ნომერი 882014287390 რეგისტრაციის თარიღი 11.06.14; ფართობი 760 კვ.მ.; საკადასტრო კოდი 01.13.03.010.100 რეგისტრაციის N882011635318 თარიღი 28.12.11, ფართობი 1674 კვ.მ; საკადასტრო კოდებად დაფიქსირდეს: N01.13.03.010.022, და N01.13.03.010.100, ფართობი: 760 კვ.მ; 1674 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 სექტემბრის N1-1988 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 დეკემბრის #გ-1/223 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.